№ 168 20 მარიამობისთვე, ქვირა 1866—1878 20 მარიამობისთვე, ქვირა № 168

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლში. № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირ ღოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: თოთხმეტ წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ხალხურ ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ფოდასტერებით ასოზე—1 კაპ., ახალ-მთავრულიანი სტროქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლებში, № 8). ᲛᲐᲚᲐᲥᲡ გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** მეჯვრისხევიდამ იწერებიან შემდეგს:

სოფ. მეჯვრის-ხევში იქაურ საზოგადოებას გაუმართავს დეპო, ე. ი. მაღაზია, როგორიც არსებობს საგარეჯოში. Დიდი ხანი არ არის ამისი დაბადება და ამისათვის ჯერ არ ითქმის, რა შვილი გამოვა. საეჭროები პირველად იყიდეს ᲑᲝᲠᲨᲘ და, როგორც ამბობენ, უკვე გასაღებულა. Ამითი შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ გულგრილად არ მიგებებია საზოგადოება ამ კეთილ საქმეს და ბედნიერებას. მეჯვრის-ხევში, როგორც გამიგონია, დუქნები არის, ყველაფერი შეუძლიანთ იყიდონ მცხოვრებლებმა. Დეპოდგან რამოდენიმე დღეში სულ გასაღებულა საეჭროები, მაშასადამე მცხოვრებლებს დაუნახავთ განსხვავება ეჭრობისა ამ ორ ადგილას, იმათ დაუნებებიათ თავი მატყუარა ეჭრებისთვის და მიუმართავთ დეპოსადმი. Ღმერთმა ჰქნას, რომ ეს კარგი დასაწყისი საბოლოოთაც კარგათ იყოს! ღმერთმა ის შნო მისცეს ამ საქმის მწარმოებლებს, რომ დაარწმუნონ მცხოვრებლები, რომ იმათთვის კეთილი სურსთ და არა ბოროტი! ღმერთმა მცხოვრებლებსაც ის გაგება და რწმუნება, მისცეს, რომ იცნონ კეთილის, სასარგებლო საქმის მიმდევარნი, დაინახონ იმათში სანდო, სინიდისიანი პირნი!

მაგრამ არ შემიძლიან არა ვსთქვა, რომ ამ დეპოს ორი ისეთი სენი აქვს, რომ დაბრკოლებს საქმის რიგიანათ წაყვანას.

პირველი სენი ის არის, რომ ფული საეჭროთ, თაეანდ შეტანილი არის არა სოფლისავე, არამედ რამოდენიმე პირისა, რომელნიც თურმე არა თუ უარს არ ჰყოფენ პირად სარგებლობაზედ, სცდილობენ კიდეეაც, რომ იმათ ჯიბიდამ ამოღებული ფულები ჯიბეშივე ჩავიდეს ცოტა შესუქებული, შრომა, რაც უკისრნიათ, არ დარჩეს უსასყიდლოთ, ერთი სიტყვით, წევრებს ის აქვსთ მიზნათ, სხვათა შორის, რომ თაეიანთი ფულები ასარგებლონ. Აქ აშკარა საქმეა, რომ ნაყიდს გაჰყიდიან მეტ ფასად, და ამაზედ მეტს ჩვენი ეაჭრები რაღას აშავებენ? Ამასთან თუ წარმოვიდგენთ იმასაც, რომ ეს წევრები ეაჭრობენ ᲑᲝᲠᲨᲘ, სადაც ამ სიძვირის დროს ყველაფერი ერთი ორად ფასობს, გაეიგებთ, თუ რა ფასად იყიდიან, რას მოიგებენ და მცხოვრებლებს რა სარგებლობა ექნებათ, ან ორ განსხვავება იქნება ამათსა და დაბინაეებულ ეაჭრებს შუა. Ფული რომ სოფლის იყვეს, მომჰმედნი პირნი, ყურის მგდებლები არ ჰფიქრობდნენ თაეიანთ ჯიბეებისა და კუჭის კეთილდღეობაზედ, ეაჭრობა იყვეს ისეთ ალაგას, სადაც ცოტათ, თუ ბევრათ უფრო იაფობაა და მოგება იყვეს მცირე, მაშინ ჰო, კიდე დიდი სიფრთხილით შეიძლება საქმე-საქმედ მოვიდეს.

მეორე სენი არის ის, რომ ეს საქმე იწყება უმაღლეს წრიდამ, თაეადებიდამ, რომლებთანაც გლეხ-კაცობა ისე ვერ მოთაესდება, როგორც ცხვარი მგელთან; გლეხ-კაცობა თაეად-აზნაურობას ამ გვარ საქმეში ვერ ენდობა, ჩემის ფიქრით.

Ერთი სიტყვით, იქნება მე ვსტყუოდე, მაგრამ დრო ყველაფერს დაგვანახვებს; ორი წლის შემდეგ თუ გაეიგონებ მე, რომ მეჯვრის-ხევის დეპო ბოგინობს, მაშინ ბოდიშს მოეითხოვ მკითხველებთან, რომ ეტყუოდი. Შკანასკნელადაც ეისურვებ, რომ საქმე რიგიანად, სინიდისიანად, სასარგებლოთ წაეიდეს, რომ ამის მაგალითს სხვებმაც მიბაძონ!“

*** ჩვენ მიეიღეთ ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲛ შემდეგი წერილი:

„რამდენჯერ თქმულა „Დროებაში“, რომ წერილმან ჩინოვნიკებს არ უნდა

**

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

I

ᲕᲐᲚᲘ.

Უწმინდეს ყოველის წმინდა გრძნობისა
Და სიტყვის, რაც გვაქვს ადამიანებს;
Შმტკიცეს ყველა სწავლა—ბრძნობისა,
Თუნდ ბევრათ ესჯობდეთ ყველა ჭკეიანებს,—
Ყველა ქვეყნიერ მოძრაობისა,
Რომლითაც გვეღლება ხორცი და ძვალი.—
Არის ის გრძნობა, კეთილი, წმინდა,
Რომ: შეეასრულე მე ჩემი ვალი!

—

Იყბედ-იცრუოს უსაქმოდ მყოფმა,
Დეე გიჟებმა მაშინ იყვირონ;
Შურმა მდაბალმა არ მოგასვენოს,
Ცილის მწამებელთ დეე გგმირონ!
Დეე გაგხერხონ ბოროტმა ხმებმა,
Ბარბაროსებმა გიპოვნონ კვალი;
Თუნდ ნუ გიწამონ ნამდვილმა ძმებმა,
Თუ შეასრულე შენ შენი ვალი!

—

Განგებამ ყველას მისცა კანონი,
Კანონი აქვს ნათელს და მოძრაობას;
Კანონით მიდის ეს ჩვენი დრონი,
Ვერ ვინ ვერ იტყვის მისს არაობას.
Ამ გვარით სწორეთ დახატა გულში
Ღმერთმა კანონი და მოგცა თვალი,
Რომ დავინახოთ და გვესმის ყურში,
Რომ: შეასრულოთ ჩვენ ჩვენი ვალი!

—

Დაე ის იყვეს უძრავი, მძიმე.
Და გაგეფინოს შენ წინ გზა ბნელი;
Ან მცირე, მაგრამ ისეთი ძნელი,
Რომ მოგაყენოს შენ განსაცდელი.
Შენ დასდექ მაღლა, ის იყვეს მცირე,
Ან მძიმე—ჩეხე, ჰგა გზა უვალი
Და ამაყურის ხმით დაიყვირე,
Რომ შეასრულე შენ შენი ვალი!

—

Აღარ გიწამეს? Განზედ გაგიდგნენ
ნათესავნი და მტერი, მოყვარე?
Დარჩი მარტოკა, დეე წაეიდნენ,
Მარტო არარს დღე მზე, ღამე მთვარე!
Მკლავი, შიგ ჯანი ღმერთმა მომ მოგცა,
Რიღასთვის გეინდა ბრძოლის დროს ხმალი?

ჩაჰბარდეს, არ უნდა მიენდოს მძიმე საქმეების აღსრულება, თორე ბევრი ბოროტ-მოქმედება ხდება ხოლმეო? რამდენი მაგალითი იყო მოყვანილი ამის დასამტკიცებლად! რამდენი და რამდენჯერ გამოაქვეყნეს, რომ ასეთი და ისეთი საქმეები ჩაიდინაო?

მაგრამ, თითქო განგებ, საქმე არ სწორდება, უარესობა ხდება ხოლმე! ᲪᲚᲘᲡ პრისტავს თ. Ო—ს მილლიციონერების აყვანის დროს იმდენი უღია ქრთამები, იმდენი, იმდენი, რომ მარტო ერთ სამამასახლისოდამ ას-ოცი თუმანი მოუგროვებია. ბოლოს იმისი საპრისტავოს ხალხი მოვიდა ბორში მაზრის უფროსთან და შესჩივლა გაკვირება. პრისტავიც აქ ბრძანდებოდა. ხალხი პირში წაუდგა პრისტავს და ეუბნებოდა, რომ ამ დროს მავანმა კაცმა ამდენი მოგვცა! ნაჩალნიკმა მოისმინა ყველაფერი.

„ნაეხოთო, იწერება ჩვენი კორრესპონდენტი, ამ საქმეს რიგიანად გამოიძიებენ?... რიგიანად მოეპყრობიანო?...“

*** Iქიდამვე გვწერენ: „აფერუმ ამ განკარგულებას! ურაა, ამ მიმხდურობას! ბაუგონიათ, რომ ეს ქალაქში საქონლის ჰხოცვა მაენებელია მცხოვრებთათვისაო და მოუშორებიათ საყასპოქალაქისთვის.—საითკენ წაულიათ?—Iქითკენ, სადაც ხალხი ყოველთვის ხვდება ხოლმე!—Iქითკენ, სადაც ერთად ერთი თვალის გასახელი, სულის მოსაბრუნებელი ადგილი იმყოფება, ე. ი. მტკვრის პირას, ხიდთან, სადაც ყოველთვის, თავისუფალ დროს, მოფენილია ხალხი თუ სახეიროთ, თუ პოეზდზედ წასასველელად და თუ საბანაოთ. მარის დროს (ეს დროც ეს ზაფხულია ბორში). აქედამ ისეთი მყრალი სუნი მოდის ხოლმე ხიდისა და როტონდისაკენ, რომელიც იქვე მახლობლად არის, რომ ძალიან მშიერი რო იყვეთ, ჭამის მადას დაკარგავთ!

„ნუ თუ სხვა ადგილი მოესპოთ, რომ იქ გაემართათ? ᲡᲝᲩᲐ არის ამაზედ უფროს მიეარდნილი ადგილი, რომ აქ ცხვირწინ არ გაემართათ საყასპო? :იწერება კორრესპონდენტი.

*** 17 აგვისტოს ნაშუადღეევიდამ საღამომდი თითქმის განუწყვეტლად წვიმდა. ამის გამო ამტვერიანებული ქუჩები გაიტკენნა და ახლა ქუჩებში აღარ ვურევთ ფეხებს მტვერში. ამას რო დაუმატოთ ისიც, რო 18-ს პატოსანი გრილი ნიავი ჰქროდა, წარმოიდგინთ, თუ როგორი გრილი დღეები უნდა იყვეს ჩვენს „თბილ-ქალაქში“ ამ ორ-სამ დღეში.

*** „Oფ. მოამბე“ გვაცნობებს, რომ ამ წლის Iვლისის განმავლობაში ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲜᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ნება დართვით Oფილისში დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ:

რუსულ ენაზედ ერთი, სომხურ ენაზედ რვა და ქართულ ენაზედ შემდეგი 6 წიგნი: 1, ᲚᲔᲥᲡᲗᲐ ᲫᲠᲔᲑᲐ, ᲨᲔᲬᲘᲜᲐᲛᲡ გამოცემული, 2, „ᲓᲐᲕᲐ“, 3. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ თხზულება, 3, „ᲫᲕᲠᲘᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ“ (იცით, ვისიც არის!) 4, „ᲜᲘᲜᲝ“, რაფ. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ; 5, „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ“, ᲑᲝᲚᲕᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, და 6, „IᲒᲐᲕ-ᲐᲠᲐᲙᲜᲘ“ რ. ᲨᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ.

*** ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲖᲔᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲩᲐᲡᲣᲚᲐ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲨᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲝᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲜᲘ ᲒᲐᲣᲮᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲣᲚᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲡᲪᲔᲛᲘᲐᲜ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲜᲘ ᲓᲐᲣᲢᲐᲪᲜᲘᲐᲗ; ᲙᲐᲪᲘ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲢᲘᲢᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐ.

*** ᲐᲛ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲨᲕᲘᲓᲡ ᲝᲠᲗᲥᲚᲘᲗ ᲛᲐᲒᲐᲚᲘ ᲛᲘᲓᲔᲜᲘᲚᲐ ᲨᲝᲗᲘᲓᲐᲛ ᲘᲛ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲕᲔᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲠᲔᲚᲡᲑᲘᲓᲐᲛ. ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲘᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲗᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ ᲛᲐᲡᲖᲔᲓ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲠᲘᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜᲘᲡᲢᲘ ᲨᲣᲢᲐᲠᲔᲕᲘ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲐᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲔᲓᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐᲗ.

ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ.

ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲠᲣᲡᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲐᲛ 11 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ:

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ. ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔᲓ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲪ ᲘᲥᲘᲓᲐᲛ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜ. ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲖᲝᲒᲘ ᲖᲦᲕᲘᲗ, ᲖᲝᲒᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘ ᲤᲝᲩᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲩᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲘᲐᲜ. ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲩᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘ�წᲧᲔᲡ. ᲐᲛ ᲯᲐᲠᲗᲐᲜᲔᲒᲔ ᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲢᲧᲕᲔᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲗᲠᲔᲑᲘᲪ.—ᲛᲔᲖᲕᲔᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ—ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲤ-ᲯᲐᲜᲓᲐᲠᲛᲐᲗ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲚᲑᲔᲓᲘᲜᲡᲙᲘᲗ.

— ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ“ Ი�წᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲛ 50,000 (ᲝᲠᲛᲝᲪ-ᲓᲐ-ᲐᲗᲘᲐᲗᲐᲡᲘ) ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲚᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲞᲘᲠᲛᲐ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲚᲛᲝᲩᲐᲩᲜᲔᲡ ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲐᲓᲘᲣᲢᲐᲜᲢ ᲛᲔᲖᲕᲔᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲛᲙᲚᲔᲚᲡ, ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲑᲚᲝᲛᲐ ᲤᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲚᲕᲐᲡ * * ᲓᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲐᲩᲘᲜᲝᲜ ᲛᲙᲚᲔᲚᲘᲗ“.

— ᲔᲠᲗ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲐᲨᲘ Ი�წᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ 25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲦᲝᲜ.

ᲘᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲕᲐ ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲐ ᲞᲝᲠᲢᲐᲡ თ. ᲚᲝᲠᲑᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ.

— ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ Ი�წᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲜᲐᲛ ᲛᲔᲖᲔᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲐᲕ-

---

რათ გინდა ეინმე ეგრეთვე შენცა,
ხო შეასრულე, რაც გქონდა ვალი!

—

ის ლაჩრობაა, რომ გეშინოდეს,
ᲔᲐᲩ თუ მარტოკას ასე მიჰყონო!
ᲫᲐᲪᲝᲐᲐ ის არს, არევინ, აროდეს
ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲨᲘ ᲬᲘᲜ არ დაიყენო!
ᲛᲐᲠᲢᲝ, ᲣᲨᲘᲨᲠᲐᲓ ᲛᲮᲜᲔᲓ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔ,
ᲛᲝᲠᲩᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲫᲐᲕᲐᲚᲘ
ᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲛᲔᲓᲔ,
ᲠᲝᲛ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔ ᲨᲔᲜ ᲨᲔᲜᲘ ᲕᲐᲚᲘ!

II

ᲡᲐᲢᲘᲠᲝᲡ.

„ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲐᲛ ᲮᲐᲠ!“ სთქვა ᲑᲔᲠᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ,
ᲨᲔᲒᲮᲔᲓᲐ ᲠᲐ ᲨᲔᲜ, ᲨᲔᲜᲡ ᲢᲐᲜᲡ ᲚᲔᲠᲬᲐᲛᲡᲐ:
„ᲑᲘᲮᲓᲔᲑᲐ, ᲒᲮᲐᲢᲐᲕᲡ, ᲒᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲩᲐᲪᲛᲐ,
ᲛᲝᲓᲘ ᲒᲘᲧᲣᲠᲝ ᲙᲘᲓᲔᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲡᲐ!

—

ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲐᲛ ᲮᲐᲠ! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲔᲑᲣᲪᲔᲜ;
ᲔᲐᲩ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲭᲚᲝᲜᲓᲔᲡ, ᲨᲔᲜᲗᲐᲜ ᲫᲐᲢᲐᲠᲐ!
ᲯᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲘᲢᲧᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲫᲚᲣᲠᲓᲘ,
ᲝᲮ, ᲠᲐᲢᲝᲛ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ!“

—

„ᲨᲔᲜ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ“, სთქვა ᲐᲮᲐᲚ-ᲒᲐᲖᲓᲐᲛ:
„ᲐᲠ ᲒᲔᲡᲛᲘᲡ, ᲐᲠ ᲒᲬᲕᲐᲔᲑ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔ ᲛᲬᲐᲠᲔᲗ;
ᲨᲔᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑ ᲓᲐ ᲛᲔ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲣᲓᲐᲛ
ᲕᲘᲢᲐᲜᲯᲘ, ᲕᲘᲬᲕᲘ ᲓᲐ ᲔᲡᲢᲘᲠᲘ ᲪᲮᲐᲠᲔᲗ!

—

ᲐᲠ ᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲫᲐᲚᲣᲫᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲬᲕᲔᲜᲐ,
ᲓᲦᲔ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲨᲕᲔᲑᲐ, ᲦᲐᲛᲔ ᲡᲣᲚ ᲐᲠᲐ!
ᲕᲘᲨ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲦᲘᲠᲡᲝᲡ ᲛᲔᲛ ᲨᲔᲜᲘ ᲮᲕᲔᲕᲜᲐ,
ᲝᲮ, ᲠᲐᲢᲝᲛ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲐᲠ ᲛᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ!“

I

სთქვა ᲭᲐᲑᲣᲙ ᲙᲐᲪᲛᲐ: „ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲤᲘᲪᲘ,
ᲛᲐᲒᲘᲡ ᲙᲐᲛᲙᲐᲨᲘ ᲮᲜᲘᲗ ᲔᲚᲕᲐᲠᲐᲓ,—
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲮᲐᲠ, ᲒᲘᲜᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲘ,—
ᲘᲐᲔ ᲒᲘᲜᲐᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲝᲛ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ!

—

ᲐᲠ ᲒᲘᲛᲘᲡᲗ ᲫᲐᲚᲐ, ᲝᲠᲜᲘᲗᲔ ᲡᲢᲧᲣᲗᲘᲗ,
ᲐᲠᲪ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲠᲬᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲣᲚ ᲐᲠᲐ;
ᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲐᲗ ᲘᲮᲘᲓᲐᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ,
ᲗᲣᲜᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲧᲕᲔᲑᲘ, ᲗᲣᲜᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ!“

Oფოფ. ᲥᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ.

18 აგვისტოს

ლნენ, ერთი ახალგაზდა კაცი მისულა პრისტავთან საზაფხულო ბაღში და უკითხავს „ეს არის გენერალი მეზენცოვიო? პრისტავი ამბობს, რომ ამ კაცს გარდა იმისთვის ჯერ არავის არ უკითხავს, თუ რომელია მეზენცოვი.

იმ დროს, როცა მოჰკლეს მეზენცოვი, იმ ახლო-მახლოს ერთი ფაიტონი ვერ დაუნახავთ, სულ ყველა დაექირავებინა ვილაცას და მოეშორებინა იმ ადგილისთვისო.

ოსმალეთი

რუსეთის, ინგლისის და ოსმალეთის დათანხმებას ერთმანეთ შორის შესახებ ოსმალეთისგან მიწების და რუსეთისა და ინგლისის ფლოტისაგან ათამანების წყლების დაცლისა, რუსული გაზეთების სიტყვით, უძევს ორი უმთავრესი პუნქტი: პირველი ის, რომ ინგლისის ფლოტი მაშინ მოშორდება პრინცის კუნძულებს, როცა რუსის ჯარები გაეცლებიან ჩიტალჯასა და ბალლიპოლს; მეორე ინგლისის ფლოტი სრულიად განშორდება მარმარილოს ზღვას და წავა დარდანელს იქით მაშინ, როდესაც რუსები გავლენ ადრიანოპოლიდამ.

— „პოლიტიკურს ქორრესონდენციაში“ იწერებიან სტამბოლიდამ 18 აგვისტოს, რომ მაკრიკიოსა და სან-სტეფანოს შუა იყო შინჯვა რუსის ჯარებისა, რომელიც შესდგებოდა 83,000 კაცისაგან 350 სამხედრო იარაღებით. როცა პარადი გათავდებოდა ღენერალ ტოტლებენის შორიახლო მოისმა დამბაჩის ხმა, თათარი, რომელსაც გაესროლა დამბაჩა, იმ წამსვე შეიპყრეს და დაუწყეს გამოკითხვა მიზეზებისა, საიდამაც აღმოჩნდა, რომ თათარს ეგონა რა, რომ ამ გასინჯვის შემდეგ რუსები განშორდებიან ამ ადგილებს, მოერია პატრიოტული გრძნობა და გაისროლა დამბაჩა მაღლა ჰაერში.

რადგანაც სხვა მხრითაც ეს სიტყვები თათრისა იცნეს სიმართლენი ამის გამო ღენ. ტოტლებენმა უბრძანა გაეშვათ თავისუფლად თათრების პატრიოტი.

— ერთი რუსული გაზეთი ამბობს, რომ პორტა აგვიანებს ბათუმის ჩაბარებას რუსეთისადმი 12 სექტემბრამდეო. ეს იმის მიზეზთ, რომ ამ დროს განმავალობაში დამშვიდდეს იქაური მცხოვრებლები და აღარ მოხდეს შეტაკებაო.

ნარევი

რედაქციამ მიიღო ძუთაისიდამ შემდეგი წერილი:

„აპირას 13 აგვისტოს, მოვიდნენ ძუთაისში ოსმალოს მმართებლობის ეექილნი, რომელთაც ეშინდობილი აქვსთ ჩააბარონ რუსეთს ბათუში და მისი არემარე. ეს ეექილები არიან: ფარნის მყოფი გენერალ-გუბერატორი ემინ-ფაშა და სულთანის ადიუტანტი პოლკოვნიკი რიზა-ბეი. ემინ-ფაშას ახლავს კიდევ ერთი თავისი ადიუდანტი, ყმაწვილი კაცი.

ამათ შეხვედრია ფოთში დიდი მთავრის ადიუტანტი ულანი ბარონ რამზაი, რომელმაც ისინი ძუთაისში შემოიყვანა.

ემინ-ფაშა ხანში შესული კაცია, კარგი მოსული და ძლიერ მხნე კეცს ჰგავს. რიზა-ბეგი ძრიელ ახალგაზდა კაცია, მშვენიერი და მშვიდობიანი პირის სახის მეტყველებით.

ძუთაისის ვაკზალზე ამათ შეხვდათ მარტო პოლიციმეისტერი, თავისი თანაშემწე და ერთიც დესიატნიკი. . . . . .

— ნეტავი სადგომი თუ მაქვსო, ჰკითხა რამზაის. მოაბსენეს, რომ აქა-დაა-ქ არის მზათაო. ჩასხდნენ ფაიტონში და მიიყვანეს ისინი სადგომზედ, სადაც „პაჩოტნი ყარაული“ უცდიდათ. „პაჩოტნი ყარაული“ არ ვიცი ოსმალეთში არ სცოდნიათ, თუ არ მოელოდნენ, პირველ შეხედვაზე არ ეგონათ, თუ მათთვინ იყო დამზადებული, და მგონი ეკითხა რამზაის:

—რა უნდათ ამ რუსებსაო?—ეს პაჩოტნი ყარაული გახლავსო მიუგეს,—

—ქარგი დაგემართოს, უთხარით მადლობა და წავიდნენ შინ.

ღენ. ჩერეპანოვმა, რომელიც ყარაული გამოჭიმული იდგა, დაითხოვა ყარაულები შინ.

ძუთაისში ამათ დახვდნენ თფილისიდამ უკვე ჩამოსული—კნ. სვ. მირსკი, ბურიიდამ—მ. დიმიტ. ბურიელი და ბათუმის კონსული ჯუდიჩი. ეს სამი ჩვენი და ორიც ზევით მოხსენებული ოსმალები არდგენენ დღეს აქ ოფიციალურს პირობებს, ბათუმის და მის არემარის ჩაბარებაზედ რუსეთისათვის, სამზღვრების შეწორებაზე და ჯარისა და მობულეთის და აჭარის იმ მცხოვრებლების გულის მოგებაზედ რუსეთისადმი, ოსმანია კვირა საღამოსვე შეუდგა თავის საქმეს; სხდომები სწარმოებს ღუბერნატორის სადგომში. თ. ბრ. ბურიელი ყოველ სხდომაზე ესწრება, რადგანაც ეს არის „მემაერთებელი ადგილების კარგი მცოდნე კაცი.“

ამბობენ, რომ ამ დღეებში. თ. მირსკი ოზურგეთში მიდისო, სადაც ზეერიშ-ფაშას მოელის ძუთაისში მისელა უთხოვნიათ, მაგრამ არ დათანხმებულა.“

ამბობენ, რომ ძობულეთელებს ზეერიშ-ფაშა ძალას ატანს ჩვენკენ წამოდით, ბედს გწევთო.

და ამბობენ, რომ ძობულეთის დაკარგვით ოსმალეთის გარეშოებას) მალე ბევრი ლამაზი ქალი მოაკლდებაო! . .

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 16 აგვისტოს. დღეს მოხდება გაცვლა-გამოცვლა ბერლინის მოკრიგების წერილისა სახელმწიფოების მინდობილთ პირთა შორის.

ლონდონი, 17 აგვისტოს. ტრაპიზონის გუბერნატორისა, პატრიარქისა და ინგლისის კონსულის რჩევით, ლაზებმა გადასწყვეტეს არ ეწინააღმდეგონ რუსებს ბათუმის დაპყრობის დროს.

პეტერბურგის ბირჟა, 18 აგვისტოს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	96—	37
მეორესი — — — —	95—	„
მესამესი — — — —	94—	50
მეოთხესი — — — —	94—	50
აღმოსავლეთის — —	92—	62
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	9—	72
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი— — „—	„	

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	236—	50
მეორე სესხის — — —	237—	50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი—	—25—	50	პენსი
ამსტერდამი—	—128—	12	ცენტი
ბერლინი— —	—216—	„	ჰფენიგი
პარიჟი — —	—266—	„	სანტიმი
უაკასიის კერასინი	2—	45	
ამერიკის — —	—3—	15	

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავს—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ანციეევთან

„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა“.

ტრაგედია ოთხ მოქმედებად, თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

ბამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ბიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში—და თელავს სასულიერო სასწავლებელში, უფ. ანციეევთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე აერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისა

ფასი ორი შაური.

ᲛᲘᲮᲔᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲒᲑᲐᲨᲘ, რომელიც იმყოფება ბალავინის პროსპექტზედ, ჩითახოვის სახლში, მიღებულია ყოველ ნაირი **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ,** ე. ი. ასოები.

მსურველს შეუძლიან მომართოს ამ სტაბბას ქართული ბროშურებისა და წიგნების დასაბეჭდათ.

ᲑᲔᲠᲜᲨᲢᲐᲛᲘᲡ წიგნის მაღაზიაში, თფილისში, ბალავინის პროსპექტზე, ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ რუსულს ენაზე დაწერილი წიგნი „ᲑᲐᲢᲝᲜ-ᲧᲛᲝᲒᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“ („Крѣпостное Право въ Грузіи“). ᲗᲘᲗᲝ წიგნის ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲣᲠᲘᲐ, გაგზავნით ოთხი აბაზი.

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲰᲡᲣᲠᲡ მოიპოვოს **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲔᲕᲠᲘ** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ᲐᲕᲐᲚᲘᲠᲗᲕᲘᲚᲡ, (ᲥᲣᲙᲘᲐᲨᲘ, ᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔᲢᲘᲜᲡᲙᲘ-ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, № 108), რომელიც კისრულობს ამ კვერების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

ᲑᲘᲒᲝ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

„ᲜᲘᲜᲝ“

მოთხრობა თავადი რაფიელ ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ.

ᲤᲐᲡᲘ 15 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘ.

ᲘᲥᲐᲕ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲘᲕᲔ

„ᲘᲒᲐᲕ-ᲐᲠᲐᲙᲜᲘ“

ᲑᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲐ-ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲝᲠᲑᲘᲚᲘᲐᲜᲘᲡ „ᲡᲘᲜᲒᲠᲫᲜᲔ-ᲡᲘᲪᲘᲠᲣᲜᲘᲓᲐᲛ“ და გალექილი თ. რაფ. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ **„ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ“,** წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა, Ი. ᲑᲝᲒᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ რედაქციით.

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘᲐ, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპეიკათა სახალხო შკოლებს, როცა ერთათ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა ნაღდ ფულზედ და კერძო პირებს ასს ეგზემპლიარს თუ ერთათ წაიღებენ.

წიგნი ისყიდება გამომცემლის სოლომონ ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში.

(10—6)

ᲝᲠ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ Ა. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲘᲡᲐ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

Ა). ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ 25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲛ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ 15-Ს ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲘᲡ. ᲕᲘᲜᲪ დაიგვიანებს, უნდა გამოიცადოს; თუ არ ეცოდინა, რაც უკვე გავლილი იქნება სასწავლებელში, არ მიიღება.

Ბ). ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲘᲠᲐ მოსიარულე ყმაწვილს, რომელიც პირველ (მოსამზადებელ) კლასში იქნება მიღებული, გადახდება 50 მანეთი წელიწადში და მეორე კლასის (პირველს)—60 მანეთი.

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲡ პირველი კლასისას გადახდება 250 მანეთი და მეორისას 260 მანეთი. პანსიონერს უნდა ექნეს თავისი: ტანისამოსი, ქვეშსაგებ. ზედსახურავი, კრავატი და სასწავლო ნივთები.

Გ). ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲨᲘ მიიღებიან მხოლოდ იმისთანა ყმაწვილები, რომელნიც ᲰᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ამ ორ-კლასიან სასწავლებელში. სხვა სასწავლებელთა ყმაწვილებისათვის ბინა არ იქნება.

Დ). როგორც ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲨᲝᲑᲘᲡ და ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ დღესასწაულობისათვის, აგრეთვე საზაფხულოთ, როგორც სახელმწიფო სასწავლებლებშია, ყმაწვილები დათხოვნილნი იქმნებიან; პანსიონერები საზაფხულოთ არ დაიტოვებიან პანსიონში.

Ე). ᲖᲐᲛᲝᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲥᲘᲠᲘᲓᲐᲛ არ გამოირიცხება ული მისთვის, რომ ყმაწვილები აღნიშნულ დროებში დათხოვილები იქნებიანᲨ არც იმისთვის გამოირიცხება ფული, რომ ყმაწვილი ავათმყოფობის გამო ანუ სხვა მიზეზისა გამო კლასს დააკლდეს.

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲘᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲤᲚᲝᲒᲘᲗ ᲬᲘ-ᲜᲓᲐᲬᲘᲜ: პირველი ნახევარი ყმაწვილის შემოყვანისა-თანავე, სეკტემბერში, და მეორე ნახევარი—იანვარში.

(5—5)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ᲒᲝᲠᲘ . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲘ	8	43			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ . . .	9	50			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . . .	9	3						
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲘ	10	14			1	18	-	66
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
ᲣᲕᲘᲠᲘᲚᲐ . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
ᲒᲝᲠᲘ . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ . .	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მან	კაპ.
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲤᲝᲗᲡ	1	—
ᲒᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲦᲜᲔᲚᲡ . .	—	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ	2	—
ᲝᲡᲛᲐᲚᲗᲐᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ.	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲨᲘ .	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲩᲩᲐ

Ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ— ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. და ᲮᲣᲗᲨ. ᲝᲖᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. და ᲝᲠᲨ. ᲐᲮᲔᲗᲡ—ᲡᲐᲛᲨ. და ᲨᲐᲑ. Ბ) ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ და ᲤᲝᲗᲘᲡᲙᲔᲜ— ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲝᲩᲣᲠᲒᲔᲗᲡ—ᲝᲠᲨ. და ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.

	მან	კაპ.
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ და ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ:		
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ		4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲮᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲮᲐᲚᲘ) .		8

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 19 აგვისტ.		
ᲤᲥᲕ. თეთ. ᲒᲐᲜᲯᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗ.	1	90
ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ . . .	1	70
ᲥᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ	1	35
ᲒᲐᲛᲑᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	7	50
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ . .	8	50
ᲒᲐᲞᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗᲘ.	10	—
ᲛᲐᲢᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ	8	30
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲜᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ . .	4	50
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲨᲣᲠᲘ ᲡᲢ .	2	—
ᲥᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ	5	80
ᲥᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	8	80
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣᲗ.	12	60
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢ	—	81
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ . .	—	90
ᲡᲞᲐᲠᲢᲘ ᲕᲔᲓᲠᲝ	4	80
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	50
—ᲤᲬᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . . .	5	50
ᲣᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲚᲘ, ᲒᲘᲠᲕ . .	—	70
ᲩᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣᲗᲘ.	12	80
ᲞᲐᲛᲑᲐᲥᲘ, ᲡᲐᲨᲣᲚᲝ ᲤᲣᲗ.	12	—

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲠᲕᲔᲜᲘᲡ მაედანზე, ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲝᲕᲘᲡ სახლებში.

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ მიიღებენ ᲧᲝᲕᲔᲚᲡ დღე დილის 8 საათ-დან 10-მდინ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ და ᲒᲐᲚᲚᲔᲕᲘᲩᲐ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲐᲕᲐᲗ., ᲛᲘᲣᲠᲐᲠᲘᲐᲜᲪ—ᲗᲕᲚᲘᲡ და ᲮᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲒᲐᲥᲢᲘ ᲕᲘᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘᲡᲐ და ᲙᲐᲜᲘᲡ Ა. ᲒᲮᲣᲢᲝᲕᲘ—ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲘᲗ და ᲒᲐᲕᲨᲕᲘᲡ, ᲞᲔᲣᲜᲝᲕᲘ—ᲗᲕᲚᲘᲡ.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ: ᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ, ᲒᲐᲥᲢᲘ—ᲒᲣᲚᲘᲡ და ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ—ᲨᲘᲜᲐᲒ. ᲒᲐᲥᲢᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ, ᲛᲘᲣᲠᲐᲠᲘᲐᲜᲪ—ᲡᲘᲤᲘᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ და ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲝᲡᲜᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲔᲑᲘᲡ, Ა. ᲒᲮᲣᲢᲝᲕᲘ—ᲥᲐᲚᲘᲡᲐ და ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ: ᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘ-ᲨᲘᲜᲐᲒ., ᲨᲐᲑᲐᲗᲡ: ᲔᲠᲛᲘᲨᲕᲘᲐ ᲨᲘᲜ. Გ., ᲒᲐᲥᲢᲘ-ᲒᲣᲚᲘᲡᲐ და ᲞᲔᲣᲜᲝᲕᲘ—ᲗᲕᲚᲘᲡ.

ᲓᲐᲜᲘᲜᲗᲣᲚᲘᲐ ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲘᲗ. Тифлисъ, 19 Августа 1878 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛ. Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.